# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 18 ივნისი, 2009 წელი

№123




## გურამ მჭედლიძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **გურამ მჭედლიძე**.

იგი დაიბადა ქ.თბილისში 1931 წლის 27 სექტემბერს პედაგოგის ოჯახში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულ-ტეტი და 1955 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირან-ტურაში ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის სპეციალობით.

1962 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1974 წელს სადოქტორო დისერ-ტაცია. 1989 წლიდან გარდაცვალებამდე გურამ მჭედლიძე მუშაობდა პალეობიოლო-გიის ინსტიტუტის დირექტორად. 1971 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და ბიოლოგიის ფაკულ-ტეტებზე. იგი იყო წამყვანი სპეციალისტი საბჭოთა კავშირში ზღვის ძუძუმწოვ-რების პალეონტოლოგიის დარგში. მის სახელთანაა დაკავშირებული ნამარხ

ვეშაპისმაგვართა საფუძვლიანი კვლევის დაწყება ჩვენს ქვეყანაში. მეცნიერის შრომებში გაშუქებულია თეორიული ბიოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ეკოგენეზი, ბუნებრივი შერჩევა, რეკაპიტულაცია, ორგანულ ფორმათა გადაშენება, ევოლუციური პროგრესი და სხვ.

გურამ მჭედლიძეს გამოქვეყნებული აქვს 69-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 7 მონოგრაფია, რომელთაგან 3 თარგმნილია ინგლისურად. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი ნათარგმნია გერმანულ ენაზე. 2000 წელს გამოქვეყნდა ენციკლოპედია ძუძუმწოვართა შესახებ, რომლის თანაავტორი გურამ მჭედლიძე გახლდათ.

1974 წელს გურამ მჭედლიძე აირჩიეს საკავშირო აკადემიის საპრობლემო საბჭოს „მცენარეთა და ცხოველთა ისტორიული განვითარების გზები და კანონზომიერებები", ძუძუმწოვართა და ევოლუციური საკითხების შემსწავლელი კომისიების წევრად. 1971 წლიდან იგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის საზოგადოების წევრი.

1997 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი 2001 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

დიდია მისი დამსახურება ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებასა და ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში.

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია*

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

*პალეობიოლოგიის ინსტიტუტი*